განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

კანონპროექტის მომზადება დაკავშირებულია ოჯახში ძალადობის კუთხით საქართველოს კანონმდებლობის სრულყოფასთან. იგი მიმართულია უზრუნველყოს სათანადო ეფექტური და ქმედითი სამართლებრივი მექანიზმების შექმნა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების თვალსაზრისით, ასევე უზრუნველყოს აღნიშნულ სფეროში საერთაშორისო გამოცდილების იმპლემენტაცია.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია გააუმჯობესოს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების არსებული სამართლებრივი მექანიზმები, ხელი შეუწყოს ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სოციალური (მათ შორის შრომის უფლებების) დაცვის სისტემის ჩამოყალიბებას.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის მიხედვი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 111-ე მუხლის ემატება ნორმა, რომლის მიხედვით, მოხელე სხვა შესაბამის საფუძვლებთან ერთად, ასევე არ შეიძლება განთავისუფლდეს სამსახურიდან, თუ იგი მოთავსებულია ოჯახში ძალადობის მსხვერპლის თავშესაფარში ან კრიზისულ ცენტრში და მას აღარ შეუძლია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამასთან, „საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონს ემატება ნორმა, რომლის მიხედვითაც ოჯახში ძალადობის მსხვერპლის თავშესაფარში ან კრიზისულ ცენტრში მოთავსებისას, თუ მოხელეს აღარ შეუძლია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება, დამქირავებლისათვის შეტყობინების ვალდებულება ეკისრება მომსახურების გამწევ ორგანიზაციას. ასევე, თუ ამ საფუძველზე სამასახურებრივი ურთიერთობის შეჩერება 3 თვეზე მეტ ხანს გრძელდება, აღნიშნული შეიტანება მოხელის შრომის წიგნაკში.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდას.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ იწვევს ფინანსურ შედეგებს, იმ პირთათვის რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღების ვალდებულებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს, პირიქით გამომდინარეობს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან და შეთანხმებებიდან.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღეს ცალკეულმა ექსპერტებმა, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულების წარმომადგენლებმა.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია საქართველოს პარლამენტის წევრი რუსუდან კერვალიშვილი.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის წევრი რუსუდან კერვალიშვილი.